

## PwC საქართველო საგადასახადო და სამართლებრივი სიახლეები

10 მაისი 2019

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება # 74/04 „კომერციული ბანკების ფასდადების მოდელების მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“

### ზოგადი დებულებები

- 2019 წლის 24 აპრილის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N74/04 ბრძანებით განისაზღვრა საბანკო პროდუქტებზე ჯანსაღი ფასდადების წესი.

### ჯანსაღი ფასდადების პრინციპი

- ბრძანების მიხედვით, ფასდადების ჯანსაღი პრინციპი მოიცავს, მათ შორის, ბანკის მიერ საბანკო პროდუქტზე გრძელვადიან პერიოდში ცალკეული რისკებისა და ხარჯების ადეკვატურად შეფასებას.
- ბანკი ვალდებულია ჰქონდეს ფასდადების დოკუმენტირებული პოლიტიკა- პროცედურები, მოდელები, ლიმიტები, რომლებიც ინტეგრირებული უნდა იყოს შესაბამის ერთიან ჩარჩოში. აღნიშნულით იხელმძღვანელებს ბანკი ბიუჯეტისა და სტრატეგიული გეგმის შედგენისას.

### ადეკვატური ფასდადების შემადგენელი კომპონენტები

- ბანკს უნდა ჰქონდეს დეტალური ფასდადება ძირითად პროდუქტებზე.
- ბანკმა არ უნდა დააწესოს ფინანსურად ზარალის მომტანი ფასი პროდუქტზე, იმ დაშვებით, რომ მას დააკომპენსირებს სხვა შემოსავალი, რომელიც სხვა პროდუქტთანაა დაკავშირებული.
- ადეკვატური ფასდადებისას ბანკის მიერ უნდა შეფასდეს, მათ შორის, ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებები:
  - კაპიტალის ხარჯი - პროდუქტის დაფინანსებისას გამოყენებული კაპიტალის მოზიდვის ხარჯი.

- ფონდირების ხარჯი - აღნიშნული დგინდება მოზიდულ სახსრებზე გადასახდელი საპროცენტო განაკვეთებით.
- არასაპროცენტო შემოსავლები და ხარჯები - ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში პროდუქტთან დაკავშირებული არასაპროცენტო სახის ხარჯები და შემოსავლები.
- საპროცენტო რისკი - გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც სესხების დაფინანსების წყაროების საპროცენტო განაკვეთების გადაფასების ვადები განსხვავდება სესხის საპროცენტო განაკვეთის გადაფასების ვადისგან, რამაც შესაძლოა ცუდად იმოქმედოს ბანკის საპროცენტო მარჟაზე.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 05 მაისი 2019

---

## საქართველოს მთავრობის დადგენილება #217 „საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“

---

### კომიტეტის ძირითადი ფუნქციები

- საქართველოს მთავრობის 217-ე დადგენილებით, შეიქმნა საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:
  - საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის, შესაბამისი რეფორმებისა და „ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ“ შეთანხმებების პრიორიტეტული მიმართულებების განხილვა;
  - „ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ“ დებულებების განხორციელების ხელშეწყობა;
  - საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და მათი საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 06 მაისი 2019

## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №75/04 „კომერციული ბანკებისათვის უძრავი ქონების იჯარით გაცემის დამატებითი/განსხვავებული კრიტერიუმის განსაზღვრის შესახებ“

*უძრავი ქონების იჯარით  
გაცემის კანონით  
დადგენილი შემთხვევები*

*ქონების იჯარით გაცემის  
დამატებითი  
შემთხვევები*

*სავალდებულო  
მოთხოვნები ქონების  
იჯარით გაცემამდე*

- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 24 აპრილის №75/04 ბრძანებით, დადგინდა კომერციული ბანკებისათვის უძრავი ქონების იჯარით გაცემის დამატებითი/ განსხვავებული პირობები.
- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ქონების იჯარით გაცემა დასაშვებია:
  - კომერციული ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულებისას მიღებული (დასაკუთრებული) უძრავი ქონების მართვის მიზნით;
  - ქონება საიჯარო პერიოდის განმავლობაში გამოყენებულია მხოლოდ საბანკო საქმიანობის, მასთან დაკავშირებული საქმიანობის ან კომერციული ბანკის სოციალური პროექტების განსახორციელებლად;
- მოცემული ახალი ბრძანებით დადგინდა დამატებითი შემთხვევები, როდესაც დაშვებულია ან აკრძალულია კომერციული ბანკების მიერ უძრავი ქონების იჯარით გაცემა.
- ბრძანების თანახმად, საოპერაციო ეფექტიანობის შენარჩუნების მიზნით, კომერციულ ბანკს შეუძლია იჯარით გასცეს ისეთი ქონების ნაწილი, რომლის უდიდეს ნაწილსაც თავად იყენებს საბანკო საქმიანობისთვის და აღნიშნული ქონების ნაწილის გაყიდვა/გამიჯვნა შეუძლებელია ან გაუმართლებლად მაღალ ხარჯებს იწვევს მისთვის. ამასთან, დაცული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 13 ივნისის №47/04 ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები.
- ბრძანების მიხედვით, კომერციულ ბანკს ეკრძალება:
  - მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფართობის მიზანმიმართულად გაზრდა;
  - სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისას უძრავი ქონების შეძენა იმ მოცულობით, რაც არ გამომდინარეობს კომერციული ბანკის საჭიროებიდან;

➤ უძრავი ქონების შეძენა მისი შემდგომში იჯარით გაცემის მიზნით;

- კომერციულმა ბანკმა იჯარით გაცემამდე უნდა შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და მიიღოს შესაბამისი თანხმობა. შეტყობინება უნდა მოიცავდეს #75/04 ბრძანებით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის ანალიზს.
- საქართველოს ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას იღებს კომერციული ბანკის წერილობითი მიმართვიდან ერთი თვის ვადაში. მიმართვიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი იჯარის გაცემაზე თანხმობის მიცემას.

*წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 06 მაისი 2019*

---

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

---

### სერგი კობახიძე

დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

E-mail: [sergi.kobakhidze@pwc.com](mailto:sergi.kobakhidze@pwc.com)

ტელ: + 995 32 250 80 50

### ვანო გოგელია

იურიდიული მომსახურება

E-mail: [vano.gogelia@pwc.com](mailto:vano.gogelia@pwc.com)

ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 208,109 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 756 ოფისში.

PwC საქართველოს საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

PwC საქართველო იურიდიული მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში 3,500 იურისტით 100-ზე მეტ ქვეყანაში.

ეს მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შეშავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნოს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2019 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Georgia LLC refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see [www.pwc.com/structure](http://www.pwc.com/structure) for further details.